

ხელშეკრულება

„ჯონოული 1“ ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო ფაზის დაწყების შესახებ

ქ. თბილისი

11 მარტი, 2016 წელი

საქართველოს მთავრობა (შემდგომში: „მთავრობა“) წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის, კახა კალაძის მიერ, და

შპს „ხვამლი“ (შემდგომში: „კომპანია“), ს/კ: 405043297, წარმოდგენილი დირექტორის, ნიკოლოზ ჩაჩხიანის (პ/ნ: 01031004836) მიერ,

ვინაიდან, საქართველოს მთავრობას, შპს „ხვამლს“ და სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 1 აპრილს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ძირითადმა მხარეებმა, მემორანდუმის შესაბამისად, კომპანიის მიერ მომზადებული და წარდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის ანალიზის საფუძველზე, მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებული ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე;

ვინაიდან, კომპანიამ, მემორანდუმის 9.1 მუხლის საფუძველზე, მთავრობის სასარგებლოდ წარადგინა საბანკო გარანტია;

აქედან გამომდინარე, ძირითადი მხარეები დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას „ჯონოული 1“ ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო ფაზის დაწყების მიზნით.

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან.

ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე

შპს „ხვამლი“

ნიკოლოზ ჩაჩხიანი